



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/167

„19“ ოქტომბერი 2015 წ.

გ ა დ ა ნ ი ს ტ რ ა ტ ი ვ ა

„საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/208-2007 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის N1/208-2007 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში შეტანილ იქნეს ცვლილება და რეგლამენტის III თავს დაემატოს შემდეგი შინაარსის 14³ მუხლი:

„მუხლი 14³. საპროკურორო საბჭოს წევრთა არჩევის წესი

1. იუსტიციის უმაღლესი საბჭო საერთო სასამართლოების იმ მოსამართლეთაგან, რომლებსაც აქვთ საერთო სასამართლოების მოსამართლედ მუშაობის არანაკლებ 5-წლიანი გამოცდილება, ირჩევს საპროკურორო საბჭოს 2 წევრს.

2. საპროკურორო საბჭოს წევრობის კანდიდატის წარდგენის უფლება აქვს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ნებისმიერ წევრს. წარდგინებას უნდა დაერთოს კანდიდატის წერილობითი თანხმობა.

3. იუსტიციის უმაღლესი საბჭო საპროკურორო საბჭოს ახალ წევრს ირჩევს შესაბამისი წევრის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე არაუადრეს 30 კალენდარული დღისა და ამ ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 7 კალენდარული დღისა. უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში საპროკურორო საბჭოს ახალი წევრი აირჩევა შესაბამისი წევრის უფლებამოსილების შეწყვეტიდან არაუგვიანეს 1 თვისა.

4. საპროკურორო საბჭოს თითოეული წევრის ასარჩევად კენჭისყრა ტარდება ცალ-ცალკე. კენჭისყრა ტარდება სპეციალური ბარათების (ბიულეტენების) მეშვეობით, რომლებზეც აღინიშნება საპროკურორო საბჭოს წევრობის კანდიდატთა სია. კენჭისყრისას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ბიულეტენში შემოხაზავს საპროკურორო საბჭოს ერთ კანდიდატს.

5. არჩეულად ჩაითვლება საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი, რომელსაც ღია კენჭისყრით მხარს დაუჭერს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა. თუ კენჭისყრის შედეგად ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა საჭირო რაოდენობა, ტარდება ხელახალი კენჭისყრა საუკეთესო შედეგის მქონე ორ კანდიდატს შორის. თუ პირველის შემდგომი უკეთესი შედეგის მქონე კანდიდატებს ხმათა თანაბარი რაოდენობა აქვთ მიღებული, ხელახალ კენჭისყრაში მონაწილეობს ყველა მათგანი.“

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი